განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ტურიზმი/ Tourism**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში / Bachelor of Business Administration in Tourism
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	როსტომ ბერიძე, პროფესორი - beridze.rostom@bsu.edu.ge ირაკლი კორძაია, ასოც.პროფესორი - kordzaia.irakli@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	180 ECTS
სწავლების ენა	ქართული
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	✓ ერთიანი ეროვნული გამოცდები; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	✓ მოამზადოს ტურიზმის ბიზნესის მართვის სფეროში თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტი, რომელსაც კრიტიკულად აქვს გააზრებული სფეროს თეორიები და პრინციპები. ✓ ტურიზმის ბიზნესის მართვისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარებით, აკადემიური კეთილსინდისიერების, სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გრძნობით, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებით აღჭურვილი, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება. ✓ ტურიზმის სფეროში კომპლექსურ ან/და არაპროგნოზირებად გარემოში კონკრეტული უნარებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება, რომელიც პასუხს აგებს საკუთარ მოქმედებებზე, არის დამოუკიდებელი, გეგმავს და ადგენს, აანალიზებს, ამყარებს კომუნიკაციას დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან. იაზრებს სწავლის შემდგომ საჭიროებებს.
სწავლის შედეგები	✓ განიხილავს ტურიზმის ინდუსტრიის ძირითად და დამხმარე სექტორებს, ტურიზმის ბიზნესთან დაკავშირებულ სფეროებს, ტურიზმის სფეროში მოქმედი ორგანიზაციის გარემოს და მართვის თეორიებს, კონცეფციებს და ძირითად პრინციპებს, მმართველობით დონეებს და მათ ფუნქციურ მახასიათებლებს, სფეროს აქტუალურ პრობლემებს, უახლეს მიგნებებს და პრაქტიკულ საკითხებს ✓ აცნობიერებს პროფესიულ, სამართლებრივ, ეთიკურ, კროს-კულტურულ, სოციალურ და გარემოს-დაცვით პასუხისმგებლობას ტურიზმის სფეროში მოქმედ ორგანიზაციასა და საზოგადოებაში

	✓ აანალიზებს ტურისტული პროდუქტის მომხმარებლის მოთხოვნას / მოლოდინებს, გლობალურ და რეგიონულ ასპექტებში ✓ ახორციელებს ტურიზმის ბიზნესის მართვასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ პროექტს ✓ აკეთებს დასკვნას ტურისტული პროდუქტის პერსპექტიულობის შესახებ ✓ მსჯელობს ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესების, ინოვაციების და გამოწვევების შესახებ ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით, ქართულ ან/და უცხო ენაზე თანამშრომლებთან, მიმწოდებლებთან, მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის პროცესში. ✓ ზრუნავს საკუთარ და სხვების პროფესიულ განვითარებაზე ცოდნის გაღრმავების, კარიერული ზრდის დაგეგმვის და განხორციელების პროცესში